

Share

0

More

Next Blog»

Create Blog Sign In

სამხრეთის კარიბჭე

მთავარი	ვინ ვართ ჩვენ	ავტორები	ფინანსური მხარდამჭერები	სასარგებლო ბმულები	კონტაქტი	
---------	---------------	----------	-------------------------	--------------------	----------	--

ეკოლოგიური საფრთხეები და დასაქმების პრობლემა.

სახელმწიფოს პროექტი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გასაფართოებლად; შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა დაიწყო;

შპს "ენერგოტრანსმა" "შავი ზღვის რეგიონული ელექტროგადამცემის პროექტის" განხორციელება დაიწყო.

"ჩვენი კონტრაქტორი კომპანია "სიმენსი" მიწის სამუშაოებს თებერვლიდან ატარებს. პროექტი მშენებლობის დაწყება სწორედ ამ დროიდან იყო გათვლილი, - ამბობს შპს "ენერგოტრანსის" დირექტორი კახა სეხნიაშვილი და ამბობს, რომ პროექტის განსახორციელებლად საერთაშორისო ტენდერები უკვე ჩატარდა და გამარჯვებული კომპანიებიც გამოვლინდა. ასევე, პროექტის დაფინანსების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია საკრედიტო ხელშეკრულებები ბანკებთან - EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი), EIB (ევროპის საინვესტიციო ბანკი), KfW (რეკონსტრუქციის ბანკი). დღევანდელი მდგომარეობით საკრედიტო რესურსებიდან ათვისებული 64,4 მილიონი ევროა.

პროექტის მიზანი საქართველოს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაფართოებაა. ამდენად, მისი ერთ-ერთი ნაწილი სამხრეთ საქართველოზე გამავალი მაღალი მაბვის გადამცემი ხაზის დასრულებაა. ხაზი ახალციხის გავლით გარდაბანსა და ზესტაფონს დააკავშირებს, ამასთანავე ახალციხიდან თურქეთის საზღვრამდე ახალი ხაზი მოეწყობა. პროექტის ფარგლებში გაფართოვდება ახალციხისა და ზესტაფონის ქვესადგურები; ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზიკილის მახლობლად კი ახალი ქვესადგური აშენდება.

ამჟამად, ვარძიის უბანზე სადენის დამონტაჟება მიმდინარეობს. პარალელურად, სამუშაოები ხორციელდება ზეკარი ზესტაფონისა და ახალციხის უბნებზე. აქ არსებული დაზიანებული ანძების და ფუნდამენტების დემონტაჟი ხდება, ასევე, სრულდება ახალი ანძებისა და ფუნდამენტების დამონტაჟება.

ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მიზნით, მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს, როგორც სამხარეო ადმინისტრაციასთან, ასევე, იმ სოფლების რწმუნებულებთან, რომლების ახლოსაც ქვესადგური შენდება. მათ ვამბობთ იმ სამუშაო ადგილების ჩამონათვალს, რომლებიც ამჟამად ვაკანტურია. ამ ყველაფერს კოორდინაციას სამხარეო ადმინისტრაცია უწყევს. მათი საშუალებით ეს სიები სოფლის რწმუნებულებს გადაეცემათ და თვისუფალი ადგილების ათვისება მას შემდეგ ხდება, - გვიხსნის სეხნიაშვილი.

სეხნიაშვილის განმარტებით, 100-მდე სამუშაო ადგილი მხოლოდ ადგილობრივების დასაქმებლადაა გათვალისწინებული: "სიმენსმა" გამოთქვა სურვილი აქ მცხოვრებლები დაესაქმებინა. სამუშაო ადგილი ნებისმიერი კვალიფიციური კადრისთვის იქნება როგორც მშენებლობის პროცესში, ასევე მისი დასრულების შემდეგ".

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში პროექტში დასაქმების მსურველებისა და ვაკანსიების რაოდენობის შესახებ, "არაფერი სმენიათ". საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტმა ია გოგატაშვილმა ადმინისტრაციის შესახებ ინფორმაცია სამხარეო ადმინისტრაციის არა ერთ თანამშრომელთან "სამხრეთის კარიბჭესთან" ერთად გადაამოწმა: "ჩვენთან მსგავსი განცხადებები არც აქამდე შემოსულა და არც ახლა შემოდის. არავინ არაფერი იცის".

განაცხადები, დასაქმებასთან დაკავშირებით, არც ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გროვდება.

"რამდენადაც ვიცი ჯერ პროექტის მშენებლობაც კი არ დაწყებულა. ჩვენი ასეთი განცხადებები არ მიგვიღია", - ამბობს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ზურაბ ჯინიუზაშვილი.

პროექტის მშენებლობისა და მით უფრო, დასაქმების შესახებ, არც ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში იციან.

"არა, ჩვენთან ასეთი განცხადებები არ შემოდის", - განაცხადა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მალხაზ ასპანიძემ.

სოფელ ზიკილის რწმუნებულის მალხაზ ინდუაშვილის განცხადებით კი, ამჟამად პროექტზე დასაქმებული მხოლოდ ოთხი ადგილობრივია: "ორი ქალი დამლაგებლად მუშაობს, ორი კაცი - მუშად".

მეზნა საიტზე

 Search

სიახლეების გამოწერა

- Posts
- Comments

რუბრიკები

- ანონსი (11)
- ახალი წელი (1)
- განათლება (157)
- ეკონომიკა (3)
- ეკონომიკა (149)
- კულტურა (35)
- ნიუსები (12)
- პოლიტიკა (138)
- რეგიონი (100)
- რეკლამა (5)
- რელიგია (6)
- რეპორტაჟი (8)
- საავტორო სვეტი (12)
- საახალწლო ნომრის კურიოზები (3)
- საზოგადოება (124)
- სამართალი (28)
- სამშობლო (1)
- სკოლა (1)
- სპორტი (23)
- უფლება გაქვს იცოდე (4)
- ფოტობრალდება (1)
- ფოტორეპორტაჟი (7)
- ჩვენი ფილმები (8)
- ჯანდაცვა (80)

არქივი

- 2012 (32)
- ▼ 2011 (339)
 - December (16)
 - November (45)
 - October (30)
 - September (18)
 - July (44)
 - June (41)
 - May (21)
 - April (50)
 - ▼ March (47)

საავადმყოფო კულტურული მემკვიდრეობის

რაც შეეხება პროექტის გარემოზე ზემოქმედებას, როგორც ასოციატა `მწვანე ალტერნატივას` მიერ შავი ზღვის რეგიონული ელექტროგადამცემი ხაზის პროექტისათვის დაწერილ შენიშვნებში ვკითხულობთ, ეს ძირითადად ტყის მცენარეულის მთლიანად მოშორებაში გამოიხატება: `ტყიან მიწებზე ზემოქმედება საერთო ზემოქმედების 75 პროცენტს მოიცავს`.

პროექტის თანახმად, ტრასის მთელ სიგანეზე ხეები და მცენარეული საფარი მთლიანად მოშორდება. მისი განხორციელების შედეგად კი ანძებთან და ქვესადგურთან არსებული მიწით სარგებლობა შეუძლებელი იქნება. ხეებისა და ბუჩქების გაკაფვა მგრძობიარეს გახდის ნიადაგის ეროზიას, გზის გაკაფვა-გასუფთავებით გაიზრდება ზედაპირული ჩამდინარე წყლების ინტენსივობა. ყოველივე ეს ქვესადგურებისა და ანძების განთავსების ადგილებში გრძელვადიანი ზემოქმედება იქნება, რადგან ამ ადგილებში მშენებლობის შემდეგ მცენარეული საფარი ვეღარ განვითარდება.

`მწვანე ალტერნატივა` შენიშვნებში აქცენტს ტყის ხანძრების პრევენციაზე აკეთებს: `ვინაიდან ახალციხე-ბორჯომის ტერიტორიაზე არსებული წიწვოვანი ტყეები ხანძრების მომატებული საშიშროებით ხასიათდება. დაცულ ტერიტორიებთან კანონით დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული ხანძრების პრევენციის ღონისძიებები ინტენსიურად უნდა განხორცილდეს`.

პროექტის პირველი ფაზა 2012 წლის მაისში დამთავრდება. სეხნიაშვილის თქმით, ამ დროისთვის დენის ექსპორტირება უკვე შესაძლებელი იქნება. საბოლოოდ კი მშენებლობა 2013-ში დასრულდება. ამდენად, რამდენი ადგილობრივი დასაქმდება პროექტში ორწელიწადნახევრის განმავლობაში გაირკვევა. რაც შეეხება ეკოლოგიურ საფრთხეებს, ალბათ მათი გამოვლენა პროექტის დამთავრების შემდეგ უფრო მოსალოდნელი იქნება.

თამუნა უჩიძე, ახალციხე

на Wednesday, March 30, 2011

Recommend this on Google

რუბრიკა ეკონომიკა

No comments:

Post a Comment

დატოვე კომენტარი

Enter your comment...

Comment as: Google Account

Publish Preview

Newer Post

Home

Older Post

Subscribe to: Post Comments (Atom)

ნაცვლად

ეკოლოგიური საფრთხეები და დასაქმების პრობლემა.

"მარტივი და მეგობრული გამოცდები"

მესამე სასწავლო ოლიმპიადა დასრულდა

ქართულ-სომხური თანამშრომლობა

ახალი ხელმძღვანელობა - ახალი წესები

"სახადი" დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის

უსაფუძვლო მღელვარება

ნომრების პორტირება - წაგებულები და მოგებულები

"ძვირი" გაზაფხული

"თევზის ჩუქებას, ჯობია ადამიანს თევზის ჭერა ასწავლ...

ნაკლები დაფინანსება და მეტი თავისუფლება

ბიტურიენტთა რეგისტრაცია სრულდება

სუბტიტრები - დახმარება თუ "მაღაღობა"

ინფლაცია - მიზეზები და შედეგები

"სამხრეთის კარიბიკი" #07(319)

სოფლის მეურნეობა - პრობლემები და გადაჭრის გზები

მუსლიმანი მესხების მოლოდინი

უგულუბელოფილი რისკები

სერტიფიცირება - წელი მეორე

იურიდიული კონსულტაციები სოფლებში

საქველმოქმედო ღონისძიება

პროექტები ახალგაზრდებისთვის

ახალი სეზონი მესხეთის თეატრში

"გზა თეატრისკენ"

მაღაღობა სიღარიბის გავლენით

სკოლაში თუ ბაღში?

უწყებები "ერთი ფანჯრის პრინციპით"

სახელმძღვანელოები ისევ იცვლება

ცხოვრება მუდმივი მოლოდინით

"სახალხო მანიფესტი" - გზა მოქალაქეთა